ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №45

2015 წლის 6 აპრილი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, მოვლა-პატრონობის მიზნით ქ.ქობულეთი, ბაგრატიონის ქუჩა, სმეკალოვკის არხის მიმდებარედ (ს/კ №20.42.03.256) 1289.8 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**